საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№115 (6341) 25 სექტემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

გლეხურ მეურნეობაზე გადადიან

გაიმართა ჩხუტელის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა საერთო კრება დღის წესრიგით: ცაგერის სახალხო დეპუტატთა მე-20 მოწვევის რაიონული საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილების „რაიონში გლეხური მეურნეობების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კრების მონაწილეებს კოლმეურნეობაში გლეხური მეურნეობების უპირატესი განვითარების შესახებ ესაუბრა და ცაგერის რაიონში გლეხური მეურნეობების განვითარების შესახებ დროებითი დებულება, ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ო. შ. ნემსწვერიძემ.

ღია კენჭისყრით კრების მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობის ნაცვლად ჩხუტელის კოლმეურნეობაში შემავალ სოფლებში შეიქმნას გლეხური მეურნეობები.

კრებამ აირჩია კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის კომისია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, წმეული რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების მდივნების ერთობლივი სხდომა. სხდომაზე განიხილეს ორი საკითხი: საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის შესახებ და რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატების სიის ფორმირების შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაევალა შემდგარი აზრთა გაზიარების გათვალისწინებით საბოლოოდ დააზუსტოს აღნიშნული სია, აგრეთვე მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამის პარტიულ პრესაში გამოქვეყნების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

ჩვენი დღეების ადამიანები

შემოდგომა მკვიდრდება სოფლად

საავტომობილო გზასთან მდებარე „ბატონის კალოდან“ პატარა აღმართს აათავებ თუ არა, ლეჩხუმური სოფლისათვის ჩვეული პირველყოფილი სილამაზით და მადლით შეგხვდებათ სოფელი მახაში. ვერც აქაურობა დაიკვეხნის მცხოვრებთა სიმრავლით, მიგრაციას თავისი კვალი აქაც დაუჩენია, თუმც სხვა სოფლებთან შედარებით ნაკლებად, ბუნებით ბოძებულ უხვ მიწასა და მრავალფეროვან ხეხილს მშრომელი კაცის მზრუნველობა არ აკლია, ამიტომაცაა წელგამართული და ღონიერი აქაური გლეხი, მოკეთის ხელგამმართავი და სტუმრის მოხარული. ამ სოფლის მკვიდრია ნოდარ ყურაშვილიც, აქ დაბადებული და გაზრდილი.

მშობლიურ სანახებს შეთვისებული, მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი, გლეხკაცის საქმეს შეჩვეული კარგი მეურნეა. წელიწადის ყოველ დროს გლეხს თავისი საზრუნავი და საკეთებელი აქვს, ადრიანი გაზაფხულიდან ვენახის სამუშაოები იწყება, შემდეგ ყანა მოუხმობს, სათიბიც დროულად მოსათიბია, თორემ კოკისპირული წვიმები შეაფერხებს პირუტყვისათვის საკვების მომარაგებას და, გულდადებით შრომობს ზვარში, ყანასა თუ სათიბში, მარჩენალ მიწას მამა-პაპური ტრადიციის ერთგულებით მზრუნველობს.

ასე მიითვალა თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გზა. ნოდარის გვერდით ახლა მამის თანაბრად შრომობენ მისი ვაჟები მიხო და მურთაზი. ამ ერთი თვის წინ მურთაზი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, მიხო ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მამის შრომით გზას აგრძელებს. სამუშაო მართლაც რომ ბლომადა აქვთ, კოლმეურნეობისაგან იჯარით აღებულ 0,2 ჰექტარ ზვარს და 0,4 ჰექტარ ყანას ისეთივე შრომისმოყვარეობით უვლიან, როგორც საკუთარ ვენახს თუ ხილის ბაღს.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მოლოდინში არიან. მიწის ნამდვილი პატრონის ალღოთი გაკეთებულ საქმეს მადლიც მეტი აქვს და სიუხვეც.

ნოდარის მეუღლე ზაირა ორ ათეულ წელზე მეტია რაიონული სტამბის მუშაა. თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ყოველწლიურად აბრეშუმის მურსაც უვლის. წელს სახელმწიფოს 30 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარა. სამსახური, სოფლის ოჯახის დიასახლისობა, რა თქმა უნდა, დიდ ენერგიას, დღედაღამ შრომას მოითხოვს. დედა, ქალბატონი ვერაა ზაირას შემწე და დამხმარე საოჯახო საქმეში.

ყურაშვილების ოჯახში თავისუფალი დრო არ აქვთ, თუ ცოტა „შეღავათი“ მიეცა ნოდარს სამეურნეო საქმიდან, უმალ თავის ხელობას—დურგლობას გაიხსენებს და სოფელში სახლების მშენებლობაზე გამოცდილი ოსტატობით შრომობს.

შემოდგომა მკვიდრდება სოფლად, სიყვითლე შეპარვია სიმინდის ყანებს, ქარვისფრად შეფერილა ვენახი, ნედლი თივის და მწიფე ხილის სურნელია. უხვს და ბარაქიან შემოდგომას სტუმრობს ნოდარ ყურაშვილი, საკუთარი საქმით, პატიოსანი შრომით რომ ემსახურება ჩვენი სამშობლოს მომავლის კეთილდღეობას.

გლეხკაცი ხომ საქართველოს ძლიერი ძარღვია, სიმტკიცეა. ყური მივუგდოთ ამ ძარღვის ფეთქვას.

ღ. ცხვედიანი.



გულნაზი ჩაჩხიანი ალპანის სამკერვალო საწარმოს მკერავია. იგი 16 წელია, რაც აქ მუშაობს და ყოველთვის მონდომებით, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საქმეს. სამი შვილის დედა კარგი ავტორიტეტით სარგებლობს შრომითს კოლექტივში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საგეგმო დავალება არ შეესრულებინოს. გ. ჩაჩხიანი ისე დასპეციალდა, რომ იგი დღეში მამაკაცის 3 ჭურთუკს აძლევს დასრულებულ სახეს.

სურათზე: გულნაზი ჩაჩხიანი მუშაობის დროს.

ზ. გზობავას ფოტო.

თქვენი თანადგომის იმედით

რაიონში 565 მრავალშვილიანი დედაა. დღევანდელი დემოგრაფიული, ეკონომიკური, სტიქიური სიტუაციის გამო წლითიწლობით მცირდება მრავალშვილიან ოჯახთა რიცხვი. მათი ეკონომიური დახმარებისა და თანადგომისათვის შესაძლებლობის ფარგლებში არა ერთმა საწარმო-ორგანიზაციამ ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშზე ჩამორიცხა მუშა-მოსამსახურეთა ერთი დღის ხელფასი. შეგროვილი თანხა მოხმარდება მრავალშვილიან ოჯახებს და ვფიქრობთ, ამით დიდი და სასიკეთო საქმე გაკეთდება.

ქალთა საბჭო ჯერ კიდევ აგვისტოში იტყობინებოდა იმის თაობაზე, თუ განსაკუთრებით ვინ მიიტანა გულთან ეს საქველმოქმედო საქმე. ჩვენს გაზეთში გამოსვლის შემდეგ ქველმოქმედთა რიცხვიც გაიზარდა.

ამ დღეებში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა 835 მანეთი ჩარიცხეს ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშზე, ღვინის ქარხანამ—410 მანეთი, საზკვების გაერთიანებამ—357 მანეთი, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭომ—350 მანეთი, 23-ე საგზაო სამმართველომ—300 მანეთი...

ქალთა რაიონული საბჭო, მისი პრეზიდიუმი მადლობას უცხადებენ ყველა კოლექტივს და მის ხელმძღვანელობას მრავალშვილიანი ოჯახების თანადგომისათვის და გამოთქვამენ იმედს, რომ საქმისგან გვერდზე არ დარჩება არც ერთი ორგანიზაცია, არავინ, ვისთვისაც სულერთი არ არის ლეჩხუმისა და საქართველოს ხვალინდელი დემოგრაფიული სახე, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობა.

ისევ ველით თქვენს დახმარებას. ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშის ნომერია 13025 (ცაგერის აგრომრეწვბანკი).

ქალთა რაიონული საბჭო.

განათლების მუშაკთა საყურადღებოდ!

ამა წლის 27 სექტემბერს, ხუთშაბათს, დილის 11 საათიდან ცაგერის საშუალო სკოლის შენობაში დაიწყება საგნობრივი სექციების მუშაობა.

მასწავლებელთა დასწრება სავალდებულოა.

განათლების განყოფილება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79-ე საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეების და წევრების დანიშვნის შესახებ

განიხილა რა რაიონის შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებანი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საოლქო კომისიამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დაინიშნოს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და ორ-ორი წევრი

ორხვის საარჩევნო

უბანი №1

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**გაბიძაშვილი ომარ სპირიდონის ძე**—ორხვის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.

წევრები:

ახვლედიანი როსტომ ბიქტორის ძე—პენსიონერი.

მახარობლიძე ლეილა აკაკის ასული—ორხვის ბიბლიოთეკის გამგე.

ტვიშის საარჩევნო

უბანი №2

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჩაკვეტაძე ზაზა ზურაბის ძე**—ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

გაბიძაშვილი ცირა ბონდოს ასული—ტვიშის სასოფლო კლუბის გამგე.

გოლეთიანი დავით ვალიკოს ძე—ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ალპანის საარჩევნო

უბანი №3

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ფრუიძე მამუკა კანდიდის ძე**—ლაჯანურჰესის მორიგე ინჟინერი.

წევრები:

ჯანაძე ავთანდილ ვალიკოს ძე—ლაჯანურჰესის მუშა.

გოლოძე თინა ვანოს ასული—ალპანის კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე.

ზოგიშის საარჩევნო

უბანი №4

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ხვადაგიანი რეზო პლატონის ძე** — ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ახვლედიანი გიორგი ანტონის ძე—სახაზო ბრიგადის ელმოსტიორი.

გოქაძე ელისო შოთას ასული—ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საირმის საარჩევნო

უბანი №5

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ჯოხონელიძე გურამ სევარიონის ძე**—მოიჯარე.

წევრები:

ალავიძე დუტუ ივანეს ძე — სახაზო ბრიგადის ელმონტიორი.

გუგავა ნელი თეოფანეს ასული—საირმის ბიბლიოთეკის გამგე.

სურმუშის საარჩევნო

უბანი №6

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**სილაგაძე ლია თედორეს ასული**—სურმუშის კლუბის გამგე.

წევრები:

ობოლაძე თინა თომას ასული—პენსიონერი.

ჩარკვიანი ქეთევან ისკანდერის ასული—სურმუშის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი.

თაბორის საარჩევნო
უბანი №7

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ქარსელაძე ელიკო ნიკოლოზის ასული**—თაბორის ბიბლიოთეკის გამგე.

წევრები:

ქარსელაძე ალექსანდრე ერასტის ძე — თაბორის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.

ქარსელაძე ნანი აქვსენტის ასული—თაბორის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ლაილაშის საარჩევნო

უბანი №8

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**მესხაძე ნოდარ ნესტორის ძე**—ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი.

წევრები:

ერბელიძე ლორინა სამსონის ასული—ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

თვარაძე რიტა მალაქიას ასული—ლაილაშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

ლაჯანის საარჩევნო

უბანი №9

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ბურჯალიანი გრიგოლ რაჟდენის ძე**—ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი.

წევრები:

ონიანი მარიკა ჯემალის ასული—ლაჯანის კულტურის სახლის დირექტორი.

ახვლედიანი ლამარა მოსეს ასული—ლაჯახის ბაგა-ბაღის გამგე.

ღაცორიის საარჩევნო

უბანი №10

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**შეკიშვილი ვიოლეტა გრიშას ასული**—ლაცორიის სასოფლო კლუბის გამგე.

წევრები:

ლარცულიანი ოლეგი სემინარის ძე—ლაცორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ახვლედიანი ნათელა ვასილის ასული—ლაცორიის საფერშლო საბებიო პუნქტის მედდა.

ორბელის საარჩევნო

უბანი №11

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჩაჩხიანი თამარ კალაქტიონის ასული**—ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

გელოვანი ნაილი ვალიკოს ასული — ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ბურჯალიანი ნარგიზა სევარიონის ასული—ორბელის საფოსტო განყოფილების შემსალაროს მოლარე-კონტროლიორი.

უსახელოს საარჩევნო

უბანი №12

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გუგავა ნათელა ბეგიას ასული**—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

გოლეთიანი გივი პავლეს ძე—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

გუგავა მერი გრიგოლის ასული—უსახელოს სასოფლო კლუბის გამგე.

წილამიერის საარჩევნო

უბანი №13

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ნემსწვერიძე ნანული თედორეს ასული**—წილამიერის სასოფლო კლუბის გამგე.

წევრები:

ყიფიანი ვარდენ ალექსანდრეს ძე—პენსიონერი.

ბურჯალიანი ნიურა ამბროსის ასული—წილამიერის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

ღვირიშის საარჩევნო

უბანი №14

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ტყაბლაძე გურამ სიმონის ძე**—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

წევრები:

ფრუიძე ლეილა გრიგოლის ასული—ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ხეცურიანი ციცო პიმენის ასული—ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

უცხერის საარჩევნო

უბანი №15

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ახვლედიანი ემზარ ენუქის ძე**—უცხერის მაღაზიის გამგე.

წევრები:

ტვილდიანი ნაილი მიხეილის ასული—უცხერის საფერშლო-საბებიო პუნქტის მედდა.

ნემსწვერიძე თათარო ანდრიას ძე—უცხერის სასოფლო კლუბის გამგე.

ნასპერის საარჩევნო

უბანი №16

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ფუტკარაძე ნანული კაპიტონის ასული**—ნასპერის ბიბლიოთეკის გამგე.

წევრები:

ხვადაგიანი ბორის ვლადიმერის ძე—ნასპერის სახაზო უბნის ელმონტიორი.

ახვლედიანი რაფიელ დიმიტრის ძე—ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ნაკურალეშის საარჩევნო

უბანი №17

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**სვანიძე ნანული იაკობის ასული**—ნაკურალეშის აგროუბნის უფროსი.

წევრები:

ყურაშვილი იგორ გერონტის ძე—ნაკურალეშის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

ყურაშვილი ბუჭუ ირონდის ძე—ნაკურალეშის მაღაზიის გამგე.

აღვის საარჩევნო

უბანი №18

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ყურაშვილი შოთა დომენტის ძე**—აღვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ახვლედიანი ლევან ვალიკოს ძე—აღვის სასოფლო საბჭოს მოლარე-მოანგარიშე.

ჭაბუკიანი ქეთინო გრიგოლის ასული—აღვის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

ლასურიაშის საარჩევნო

უბანი №19

საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ნებიერიძე თინათინ ვლადიმერის ასული**—ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

კანაჩაძე მარინე დუშმანის ასული—დეხვირის სასოფლო კლუბის გამგე, მცხოვრები სოფელ ლასურიაშში.

ტვილდიანი მარინე ომარის ასული—მახაშის კლუბის გამგე.

დეხვირის საარჩევნო

უბანი №20

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ასათიანი მერი გალაქტიონის ასული**—დეხვირის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ჭაბუკიანი ჯაჯუ პორფილეს ძე—პენსიონერი.

მიქაძე ლეილა ომარის ასული—ლესინდის კლუბის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79-ე საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეების და წევრების დანიშვნის შესახებ

(დასასრული).

ჩხუტელის საარჩევნო უბანი №21

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ქარსელაძე ბიქტორ ნიკოლოზის ძე**—ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

მანდარია მთვარისა მექის ასული—ჩხუტელის სასოფლო კლუბის გამგე.

სვანიძე თალიკო იაკობის ასული—ჩხუტელის საშუალო სკოლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი.

ჟაღაქ ცაგერის საარჩევნო უბანი №22

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**მუშკუდიანი მიხეილ ფილიპეს ძე**—კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სამოქალაქო თავდაცვის ინსპექტორი.

წევრები:

ჩაკვეტაძე ქეთინო შოთას ასული—ცაგერის №91 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი.

ახვლედიანი ნინო ალექსანდრეს ასული—ცაგერის რაისაავადმყოფოს ექიმი-პედიატრი.

ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი №23

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ჩორგოლიანი თემურ სოგრატის ძე** — ცაგერის კოლმეურნეობის აგრონომი.

წევრები:

კოპალიანი ნათელა შარდენის ასული—ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბის გამგე.

გუგავა ლუბა ბესარიონის ასული—ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ლუხვანოს საარჩევნო უბანი №24

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**კოპალიანი ავთანდილ ჰიჰიკოს ძე**—ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ლეთოდიანი მაყვალა ვასილის ასული—ლუხვანოს სასოფლო საბჭოს ბუღალტერი.

მუკვანი ნელი ნიკოლოზის ასული—ლუხვანოს საბავშვო ბაღის გამგე.

წიფერჩის საარჩევნო უბანი №25

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ქომეთიანი მერაბ გალაქტიონის ძე**—ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ბენიძე ლეილა ვანოს ასული—წიფერჩის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

ხაბულიანი ჯიმშერ გიორგის ძე—პენსიონერი. მცხოვრები სოფელ წიფერჩში.

ჩქუმის საარჩევნო უბანი №26

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**თუთისანი ბადრი ალექსანდრეს ძე**—ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

დავითულიანი მარინე რუბენის ასული—ჩქუმის საბავშვო ბაღის გამგე.

ლიპარტელიანი ეთერი ალექსანდრეს ასული—ქულბაქის საფერშლო საბებიო პუნქტის სანიტარი.

ზუბის საარჩევნო უბანი №27

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ბენიძე გიგლა ინდიკოს ძე**—უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მუშა.

წევრები:

ბენიძე ინეზა საშას ასული—ზუბის სასოფლო კლუბის გამგე.

ყურაშვილი ფატი ზაურის ასული—ზუბის საბავშვო ბაღის გამგე.

ისუნდრის საარჩევნო უბანი №28

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**კუხალაშვილი მურად კაპიტონის ძე**—უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მუშა.

წევრები:

ქურციკიძე თინა თადეოზის ასული—ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საღინაძე თამარ ნესტორის ასული—ისუნდრის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

ოყურეშის საარჩევნო უბანი №29

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—**ყურაშვილი თემურ ყორას ძე**—ოყურეშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

წევრები:

ყურაშვილი ჯენი ალიოშას ასული—ოყურეშის სასოფლო კლუბის გამგე.

მუშკუდიანი გაიოზ გიორგის ძე—ოყურეშის საფოსტო განყოფილების რადიოტექნიკოსი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბ. ვ. ხეცურიანი

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ა. დ. საღინაძე

19 სექტემბერი, 1990 წელი.

ექიმი გვირჩევს

ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელშია

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. მედიცინისა და ბიოლოგიის მიღწევებმა ადამიანს თავიდან აიცილა სიცოცხლისათვის მეტად საშიში დაავადებანი, ქიმიისა და ფარმაციის განვითარებამ კაცობრიობას მისცა მაღალეფექტური წამალი, ხოლო ქირურგიის წინსვლამ კი დაამუშავა მეტად რთული ოპერაციების ჩატარების ახალი და სანდო მეთოდები.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენს საუკუნეში ადამიანი მაინც ხდება მსხვერპლი ისეთი მწვავე და ქრონიკული დაავადებებისა, როგორიცაა გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია, ავთვისებიანი სიმსივნეები, ვირუსული ინფექციები, ალერგიული, სუნთქვის ორგანოებისა და ნერვული სისტემის დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვა.

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ნაადრევი ასაკიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს 30-40 წლის ასაკში. აღნიშნულ ასაკში ადამიანი მკვეთრად ზღუდავს მოძრაობას, ფიზიკურ დატვირთვას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მთელი რიგი დაავადებების განვითარებას და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლას. ეს უკანასკნელი კი იწვევს დაშლისა და აღდგენით პროცესებს შორის არსებულ ფიზიოლოგიური წონასწორობის დარღვევას, რამაც შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა სახის პაოოლოგიური ცვლილებები ქსოვილებსა და ორგანოებში.

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ორგანოთა სარეზერვო ძალები და ფუნქციური მდგომარეობა, საჭიროა უჯრედთა მუდმივი „კვება". თუ ბიოლოგიური რეზერვების გამოყენება არ ხდება, მაშინ მისი „შენარჩუნებისათვის" ენერგია ფუჭად იხარჯება, რასაც მოსდევს ატროფიული პროცესის განვითარება. ორგანიზმის ყველ. რეზერვების გავარჯიშების მიზნით ძირითადად კუნთური მუშაობა გამოიყენება. ფიზიკური დატვირთვა თვალსაჩინოდ ზრდის ენერგეტიკული მასალებისა და ჟანგბადის ხარჯვას. ქსოვილებამდე ჟანგბადის მიტანა, ხოლო იქიდან ნახშირორჟანგის წამოღება სისხლის საშუალებით ხდება, ამიტომ ადამიანის ორგანიზმში ნორმალური გაზთაცვლისათვის აუცილებელია კუნთური მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სისხლის მიმოქცევას და შესაბამისად გულისა და ფილტვების ფუნქციას აუმჯობესებს, კუნთური მუშაობის შეზღუდვა იწვევს ე. წ. „დეტრენიზაციის მდგომარეობას" და უარყოფითად მოქმედებს სარეზერვო ძალებზე. ამიტომ ფიზიკური ვარჯიში (ფიზიკური კულტურა, სამკურნალო ფიზკულტურა) ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მრავალ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში, როგორც სარეზერვო ძალების მობილიზაციის ერთ-ერთი ძლიერი საშუალება.

ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი მთავარი მტერია უარყოფითი ხასიათის ფსიქოემოციები. ჩვენი საუკუნისათვის

(დასასრული მე-4 გვერდზე)



ბელორუსიის სსრ, ვიტებსკის ოლქი. უკვე მილიონიან მოგებაზე „ზის" უშაჩის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბა". სულ ახლახანს ჯერ კიდევ სუსტი მეურნეობა განმტკიცდა მას შემდეგ, რაც არარენტაბელური საწარმოო რგოლების ნაცვლად შეიქმნა 36... კოოპერატივი

ყველა კოლექტივს თავისი ფუნქცია აქვს.

ყველა კოოპერატივს აქვს თავისი საბანკო ანგარიში და საჩეკო წიგნაკი, რაც იძლევა საშუალებას დამოუკიდებლად აწარმოონ სავაჭრო ოპერაციები (სხვათაშორის, მხოლოდ სახელმწიფო ფასებში). თანაბარმა ეკონომიკურმა პირობებმა, ინიციატივის თავისუფლებამ, სოფლის მცხოვრებისათვის საკმაოდ კარგმა ხელფასმა გაზარდეს შრომის საბოლოო შედეგებით დაინტერესება.

წლევანდელი ზაფხულის მძიმე პირობებში „დრუჟბის" კოოპერატორებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის წარმოება. აქ უკვე 6000 ტონა სენაჟია დამზადებული.

სურათზე: კოოპერატორები ამზადებენ სენაჟს.

ა. ცერლიუკევიჩის ფოტო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელშია

(დასასრული).

დამახასიათებელია ადამიანთა შორის ე. წ. ინფორმაციული ნევროზების განვითარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე სხვადასხვა სახის მუდმივად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთი და იმავე გამაღიზიანებელის ზემოქმედებას. ნერვული სისტემის მიერ შათი თანდათანობითი გადამუშავება ვეღარ ხერხდება, რაც იწვევს თავის ტვინის ფუნქციური მდგომარეობის დარღვევას.

აღნიშნულის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების (დროული დასვენება, მედიკამენტოზური მკურნალობა, სამუშაო ადგილის გამოცვლა და სხვა) გატარებით უნდა ხდებოდეს, სადაც ფიზიკური ვარჯიშის სწორად გამოყენებას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება.

თუ ადამიანი შეზღუდავს მოძრაობას და არღვევს კვების რეჟიმს, ანუ გადაჭარბებულად იკვებება, იგი სუქდება. ზედმეტად გასუქება კი ავადმყოფობას ნიშნავს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადების, ღვიძლის ციროზის, შაქრიანი დიაბეტითა და მთელ რიგ სხვა დაავადებათა განვითარებას, გადაჭარბებული კვებით განპირობებული (ალიმენტარული) სიმსუქნე ვითარდება მაშინ, როდესაც ადამიანის მიერ მიღებული საკვები ორგანიზმს აწვდის მეტ ენერგიას, ვიდრე ორგანიზმი მას ხარჯავს. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ადამიანის მიერ მიღებული საკვები ერთი პროცენტით მაინც აჭარბებს მისთვის ფაქტიურად საჭირო საკვების ნორმას, მაშინ ყოველდღიურად მისი სხეულის წონა 0,9 კგ-ით იწყებს მომატებას, ხოლო 30 წლის განმავლობაში ეს ნამატი 25.4 კგ-ს უდრის. ზომიერი კვება და პერიოდულად ორგანიზმის საკვები პროდუქტებიდან განტვირთვა იმათთვის, ვინც ფიზიკურ შრომას არ ეწევა, აუცილებელი და სასარგებლო ღონისძიებაა.

სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობა კომპლექსური მეთოდით ტარდება, რომლის ქვეშ იგულისხმება მედიკამენტოზური, ქირურგიული, ფუნქციური, დიეტური, კურორტული და სხვა სახის მკურნალობა. იმისათვის, რომ მოვახდინოთ ადამიანის ორგანიზმის დამცველი ძალების მობილიზაცია და ამით წინააღმდეგობა გავუწიოთ ამა თუ იმ დაავადების განვითარებას, მიზანშეწონილია ადამიანი ნაადრევად იწყებდეს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. დაავადების დროს უნდა ჩატარდეს სრული მკურნალობა, რათა არ მოხდეს შემდგომში პათოლოგიური პროცესის კვლავ გამწვავება. არასწორია ავადმყოფის მიერ თვითმკურნალობის ჩატარება, ან ექიმებაშებთან სიარული. ავადმყოფთა მკურნალობის პროცესი ღრმა მეცნიერულ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს.

ამა თუ იმ დაავადების გადატანის შემდეგ აუცილებელია სათანადო რეჟიმის დაცვა. გართულება რომ არ წარმოიშვას ადამიანი მკაცრად უნდა იცავდეს მისთვის დაწესებულ რეჟიმს. მხოლოდ შეგნებული მოქმედებით შეუძლია ავადმყოფს შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და გაიხანგრძლივოს სიცოცხლე.

წამლებით მკურნალობა მოითხოვს ექიმისა და პაციენტის მიერ გარკვეულ სიფრთხილეს. უნდა გვახსოვდეს, რომ წამლების გადაჭარბებულად ხმარებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ბევრ წამალს ახასიათებს ერთმანეთთან შეუთავსებლობა, რაც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. ცნობილი გახდა, რომ წამლები, რომლებიც იხმარება ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის (მეტაბოლიზმის) გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია გარკვეული ფიზიკური დატვირთვის—მოძრაობის ფონზე იქნეს გამოყენებული. კუნთური მუშაობა თვალსაჩინოდ უწყობს ხელს უჯრედის მიერ ორგანიზმში შესული წამლის (პრეპარატის) ათვისებას, რის გამო მისი მოქმედება ბევრად უფრო ეფექტურია.

ზოგიერთი მოქალაქე ჯერ კიდევ სწორად არ აწარმოებს თავისი კუთვნილი შვებულების გამოყენებას. მთავარია აქტიური დასვენების ჩატარება. აქტიური დასვენების ქვეშ პირველ რიგში იგულისხმება, რაც შეიძლება მეტი ხნის განმავლობაში სუფთა ჰაერზე ყოფნა და მოძრაობა.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ტურისტული ბაზები, პანსიონატები, რაც შეიძლება ფართოდ უნდა იქნენ გამოყენებული მოქალაქეთა აქტიური დასვენებისათვის, ამით შევინარჩუნებთ ჯანმრთელობას.

ე. გაგლუანი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

ლეჩხუმური ყოფა, ტრადიციები

საირმელ კაბოსნიძეთა რძალია ნონა გენერალ ასული. შეფიცრული ორი წელი ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგად იქო. პარტიულურად მუშაობდა ლეჩხუმურ ლექსიკაზე. ამუამად იგი თბილისის მე-16 საშუალო სკოლის პედაგოგია. მან ჩვენი კუთხის ყოფით საკითხებზე შეაგროვა საინტერესო მასალები. ვბეჭდავთ ზოგიერთ მათგან.

საირმის კლდეთა „საიდუმლოება“

ალპანიდან საირმეში მიმავალ მგზავრს გზაში ერთი პატარა ქოხიც კი არ შემოხვდება. სადღაც კლდეებში ჩაკარგულა სოფელი და სანამ მას მიუახლოვდები, მანამ ლეგენდებით მოცულ ქვეყანას გამოიცლი. ყველიან მოხუცი ლეჩხუმელები საირმული უდაბნოს ამბავს, ყველიან მამა-პაპისაგან გაგონილს, უმატებენ ახალს და ზღაპრულ ქვეყნად, დევების საბრძანებლად წარმოგვიდგენენ ერთ დროს ჩაქცეულ „ქალაქ კოდას“.

ბევრ საიდუმლოს ინახავს საირმის კლდეები, რომლებიც მართლაც და ზღაპრულად გაქვავებულ ქალაქს მოგვაგონებს. ვინ იცის, ერთ დროს მართლაც და, ჩქეფდა ამ ადგილებში ცხოვრება. მოხუცების გადმოცემით „ამ უდაბნო ადგილებში ცხოვრობდნენ ბერები. ამოვარდნილა გულკანი, ნახევარი აქეთ დარჩენილა ეს კლდე, ნახევარი იქით. ხოდა იმისთანა კლდე ყოფილა ციხესავით, რომ შესავალი არსაიდან ჰქონია. დარჩენილა ქალი აკვნიანი ბოვშვით ამ კლდეზე. ე ქალი ძუძუს აჭმევდა ბოვშვს, მერე წოუბამს—ყვე კიბეები კიბეებზე და ჩამოუშვიათ და გოდურჩენიათ. ეს უდაბნო დახეთქილა ისე, რომ რაიმე ჩავარდეს შიგ მისი ამოღება არ შეიძლება“ (ეფო თვარაძე).

დაკარგულია ყველაფერი ის, რაც კი ამ უდაბნო ადგილას ჩავარდება. დევთა ბუხუნს მოგაგონებთ კლდეებიდან უფსკრულს ჩაშვებული პატარა კენჭიც, ადამიანის ფეხის დადგმა კი არა, ჩიტის გადაფრენაც შლის ამ ძველთა-ძველ ნაქალაქარს. „სოფელ საირმის ადგილას ადრე ტყე ყოფილა ირმებით სავსე. ამ ტყეში ერთი კაცი მოსულა, მოუკაფავს და მოშენებულა ხალხი. კახურაში აუგიათ სალოცავი ეკლესია. ამ კაცებს ცოდნიათ ჭურების კეთება“ (ეფო თვარაძე).

საირმელი მეჭურჭლეები არა მარტო რაჭა-ლეჩხუმში, არამედ თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ყოფილან განთქმულნი თავიანთი ხელობით. მათი ოსტატობა, შეუდარებლად აღერებული თიხა თქმულებებშიც აისახა, ამიტომ არაა გასაკვირი საირმის პირველი მცხოვრები თიხის ოსტატი რომ ყოფილა.

საირმეში აქა-იქ დღესაც შემორჩენილან თიხის ოსტატები. დღესაც ნახავთ კახურაში, გაღმარელასა და სასახლეში აყალო მიწის მჭრელთ. ახლანდელი მეთუნეები უფრო მეტად თონეებსა და კეცებს ამზადებენ. ადრე „ეზოებში ყველას საკუთარი ქურა ჰქონდა, საერთო ქურა კი ურდულოურში იდგა. საირმელი კაცის წყევლა იყო „დაგენგრა ქურაო“ (დონია ხუციძე).

ქურა

ქურას აშენებდნენ ბაღლადის ქვით. დადგამდნენ ოთკუთხედ შენობას, თაღისებურად გადაადგამდნენ გულბადს, შუაზე ჩაუდგამდნენ დიდ კარებს, ბოლო ექნებოდა ვიწრო, შუა ადგილი კი განიერი. დიდი კარის გარდა ქურას კიდევ ექვსი კარი ჰქონდა, ორი ერთ მხარეზე, ორი მეორეზე და ორიც დიდ კარებთან. ამ პატარა კარებიდან ქურაში აწყობდნენ ფუტუროს.

(გაგრძელება იქნება).

თქვენთვის, დიასახლისებო!

თუ გსურთ რძემ დიდხანს გასძლოს, ადუღებისას ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი (ერთი სუფრის კოვზი ერთ ლიტრ რძეზე)

* * *

სოსისი რომ ხარშვის დროს არ დასკდეს, ცხელ წყალში ჩაშვებამდე რამდენიმე ადგილას დაჩხვლიტეთ ნემსით.

* * *

გაფცქვნილ კარტოფილს დიდხანს ნუ დატოვებთ წყალში, რადგან წყალში ის ნაწილობრივ კარგავს საკვებ ნივთიერებებს. იგი მოხარშვის ან შეწვის წინ უნდა დაითალოს.

* * *

როცა ბოსტნეულს მარილიან წყალში ვხარშავთ, მასში იკარგება ვიტამინების სამოცდაათი პროცენტი. ამიტომ მარილი ბოსტნეულის კერძს მხოლოდ ხარშვის დამთავრების შემდეგ უნდა ვუყოთ.

* * *

წვრილად დამტვრეული კვერცხის ნაჭუჭით კარგად იხეხება ვიწროყელიანი ჭურჭელი.

რა უნდა იცოდეს მოიჯარემ?

ამ სათაურით სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკურმა ცენტრმა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცეს ბროშურა. მასში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იჯარა, რა იურიდიული და სამართლებრივი, ორგანიზაციული და სოციალური საკითხები წამოიჭრება იჯარული ურთიერთობების დროს. ამასთან ბროშურაში თავმოყრილია ყველა ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტი, ხელშეკრულებებისა და აქტების ნიმუში და სხვა აუცილებელი მასალები. ბროშურის ღირებულება 10 მანეთია. მისი შეძენა შეიძლება საქინფორმაგრომრეწვში, შემდეგ მისამართზე:

380059 თბილისი, მარშალ გელოვანის პროსპექტი №4ა.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ წერილით და მათ ადგილზე გაეგზავნებათ აღნიშნული მასალა.

ი. დვალი,

საქინფორმაგრომრეწვის დირექტორი.

ბილოსკავი

ჩიტო რაჟდენის ასულ ჟორჟოლიანს

ბებო, გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელ, ბედნიერ, დღეგრძელ სიცოცხლეს.

ნატო, გიორგი ომანაძეები.

დები ლიდა, ანგელინა, ნანული საღინაძეები, დისშვილი შოთა, რძალი ნელი ჯაფარიძეები, სიძე გივი ჩარკვიანი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ათანასეს ასული საღინაძე

გამოსვენება 29 სექტემბერს, შაბათს, 17 საათზე სოფ. ლუხვანოდან. დაკრძალვა ქ. ცაგერში.

და ნანული, სიძე გივი, დისშვილები ნატო, ირაკლი ჩარკვიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა ათანასეს ასული საღინაძე

ზურაბ, მამია, ჟორა დაშნიანები, არდევან გაბიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ დიმიტრის ასული ბახსოლიანი

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მეუღლე გრიშა, შვილები შმაგი, დათო, როინი, ნანი, რძალი მადონა, შვილიშვილი ნათია, დედმამიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუცა ვალიკოს ასული მუშკუდიანი-ქომეთიანი.

დაკრძალვა 29 სექტემბერს, შაბათს, სოფ. სანორჩში.

ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

ნინა ათანასეს ასული საღინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, საბალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.